ოთხშაბათი 1918 წ. აპრილის, 11—(24) № 71

წელიწადი მეორე

ოთხშაბათი 1918 წ. აპრილის, 11—(24) № 71

ფასი 20 კაპ.

# ჩვენი ქვეყანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქცია.

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

კანტორა.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადება: თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებისა 1 საათამდე 8 მ., 1 საათს შემდეგ 10 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ადრესი: Кутаис, поч. ящик № 39. ტელეფონი № 76.

ღრმად დამწუხრებული მშობლები ლეონტი და ოლღა; დები ნეონილა (ოლია) და ალექსანდრა (საშა); ძმები შილვა, მაშა, ერმილე და ვასიკო აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასის და დაუვიწყარი, წმიდა ნინოს მეოთხე კლასის მოწაფის,

ლიუბა (ვეტიკო) ლეონტის ასულის ქორქაშვილისას

უდროოთ გარდაცვალებას, დაკრძალვის დღე დანიშნულია ხუთშაბათს, 12 აპრილს, ნაშუადღევის 4 საათზე, პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, საკუთარ სახლში, ძველი ლაგირის ქუჩა. 1—1

ღრმად დამწუხრებულნი ქალიშვილები ელისაბედ წულუკიძისა, მამიერისთვისა, თედოსია მიქელაძისა და ოლღა ლორთქიფანიძისა აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ გარდაცვალებას ძვირფასი დედის

ნინო წერეთლის ასულის მდივნისას

რომლის გამოსვენება სოფ. გეგუთიდან მოხდება ხუთშაბათს, აპრილის 12 ს, ნაშუადღევის საათის 3-ზე, მიცვალებულს აქედან დასაკრძალავად წაასვენებენ სოფ. ვაკისუბანში წმ. გიორგის ეკლესიაზე. 2—1

ხუთშაბათს, 12 ამა აპრილს, დილის 9 საათზე, ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიაში გადახდილი იქნება გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო წირვა და პანაშვიდი

ლუცია იოსების ასულის კოკოჩაშვილის

სულის მოსახსენებლათ. 1—1

## საქართველოს დამოუკიდებლობა.

კავკასიის კონფედერაცია რომ გამოცხადდეს, ამისთვის უწინარესად თვითეულმა ერმა თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა საჯაროდ უნდა აღიაროს, კონფედერაცია არ არის თვინიერ დამოუკიდებლობისა და მაშასადამე დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირს წარმოადგენს, იმავე დროს თვითეულ სახელმწიფოს ნება აქვს, როცა უნდა, გამოეყოს კავშირს (სელექციის უფლება).

ამიტომ საქართველომ დღესვე უნდა აღიაროს და გამოაცხადოს თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და ამიერ-კავკასიის კონფედერაციის ერთერთ შემადგენელ ნაწილად: ამით სუვერენულ უფლებასაც მოიპოებს და კავშირშიაც იქნება.

კავკასია ფედერაციად ვერ გადიქცევა, ვინაიდან ფედერატიულ სახელმწიფოში ზიარი სახელმწიფოებრივი საქმე მეტია, ვიდრე არაზიარი. კონფედერაციას კი მხოლოდ ერთი ან ორი საქმე აქვს—მაგალითად, საბაჟო ან სამხედრო ან ორივე ერთად—ზიარი და ისიც თვითეული შემადგენელი ნაწილის თანხმობას თხოულობს, ყველაფერი დანარჩენი კი—თვითეული სახელმწიფოს უფლებრივ გარეშემკვეთლობაში შედის.

მაშასადამე, როდესაც საქართველო თავს კონფედერაციის ნაწილად და სუვერენულ, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადებს, მას ეყოლება: საკუთარი სამხედრო, საფინანსო, შინაგან და სხვა საქმეთა მინისტრები და იგი თავისი თავის პატრონი იქნება. იმავე დროს საქართველოს უფლება ექნება საკუთარი საგარეო პოლიტიკაც აწარმოოს, რასაკვირველია, კავკასიის სხვა დამოუკიდებელ ერებთან შეთანხმებით.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება კიდევ ერთი მხრით იქნება მნიშვნელოვანი: კიდევაც რომ დამარცხდეს და დაპყრობილი იქნეს მტრის მიერ, მას შერჩება უფლება გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი საერთაშორისო საზავო კონგრესზე, რომელიც, უეჭველია, მსოფლიური ომის შეწყვეტის შემდეგ შეიკრიბება.

მეტყვიან: ერმა რომ საერთაშორისო უფლება მოიპოოს, არა კმარა, რომ მან თავისი დამოუკიდებლობა აღიაროს, არამედ საჭიროა, მისი დამოუკიდებლობა სხვა სახელმწიფოებმაც აღიარონო. მაგრამ, ჯერ ერთი, ჩვენ ჩვენი საერთაშორისო უფლება სისხლით მოვიპოვეთ, ჩვენ შვილთა სისხლით, რომელნიც ბათუმის, ქობულეთის, ოზურგეთის, თბილისისა და სხ. დაცვას სხვერპლად შეეწირენ. დიახ! ჩვენ შვილთა მიერ ბათუმის არეში, აჭარ[illegible] ქვეყანაში და სხვაგან დათხეულ სისხლის დაფუჩეჩება აღარ შეიძლება: იგი ისტორიის ფურცლებიდან არ ამოიშლება. და, მერე, განა გერმანია, ამერიკა, ინგლისი და ბევრი სხვა დიდი და პატარა სახელმწიფო ჩვენ შვილთა სისხლით მოპოებულ უფლებაზე უარს გვეტყვიან?! რა დასაჯერებელია?!

ამიტომ, მივმართავთ საქართველოს ეროვნულ საბჭოს; სთქვას სიტყვა ის, რაც ჩვენმა შვილებმა თავისი სისხლით სთქვეს; აღიაროს საქართველოს დამოუკიდებლობა და გამოაცხადოს თავი საქართველოს მთავრობად.

მომწიფდა უკვე დრო!

**ვასილ წერეთელი.**

## „სოფლის ბოლშევიზმი“.

იმერეთის სოფლებში შეიჭრა დამახინჯებული და გამრყვნელი სენი „ბოლშევიზმი“.

ამ განკითხვის წამებში, როდესაც მტერი ეზოში ჩამოგვივიდა ქართველი კაცი ბოლშევიკობს. მიწის, მუშა, რომელსაც შემოსეულ მტრისგან მოელის წამება, ქონების წართმევა და წმინდათა წმინდის შეგინება გულუბრყვილოთ აცხადებს: „მე ომი არ მინდა ომს გასამდიდრებლად აწარმოებს მდიდრების მთავრობა“.

ბათომის დაცემამ საერთო შეშფოთება და გოდება გამოიწვია სოფლებში, მაგრამ ამ დროს გაჩნდენ სოფელში უპასუხისმგებლო წყლის ამღვრევი პირები და მოურიდებლად დაიწყეს ქადაგება. „ვისხელშიც არ უნდა იყოს ბათომი ხალხისთვის სულერთია, მის დასაბრუნებლად სისხლის დაღვრა ეს ბურჟუაზიისთვის საკვდილი იქნება მიწის მუშას თავის მტერი აქვე ჰყავს, თავად-აზნაური მღვდელი ვაჭარი და მდიდრები“.

ეს კლასობრივი ზერელობით გაბრუებული დაბრმავებული წრეები მფრინავ რაზმებათ ედებიან სოფლურ საქართველოს და რუსთა ბატონობისგან დამახინჯებულ ეროვნულ სულს სწამლავენ, შხამავენ, ბრძოლის ველზე მიმავალ ჯარს წინ ეღობებიან და სამოქალაქო ომისკენ ეძახიან.

გამყიდავებს უტიფრად, შეუძრწუნებლად გულიდან ამოუგლეჯიათ სამშობლო ახლა სცდილობენ, რომ სამშობლოს მრწამსი ხალხსაც წაართვან... ბნელ და ვერაგ აგენტებს მიზნათ დაუსახავთ ძმის ძმაზე წაკიდება და შემდგომ აფორიაქებულ დროთი, სარგებლობა.

ისინი ეუბნებიან ხალხს: „ვისაც დაუყონებლივ მშვიდობიანობის დამყარება გწადიათ, ვისაც მიწა და სურსათი გინდათ დადექით ჩვენს დროშის ქვეშ“.

მუდამ დანმდობი გულუბრყვილო ქართველი ხალხი უსირცხვილოთა, მატყუარათა ანკესზე ეგება.. ხალხი ბოლშევიკობს და კი არ იცის, რომ ამ ბოლშევიკობით სამარეს ითხრის... ქართველ კაცს ბათომი უყვარდა, ბათომს უფრთხილდებოდა როგორც საქართველოს ბედის საზღვარს, ამჟამათ, მას უმტკიცებენ, რომ უკეთესია ბათომის სხვის ხელში იყოსო... ხალხი დაიბნა არ იცის რომელია სწორი გზა... ხალხის წინაშე ყველამ დავაშავეთ, რადგან შეუგნებელ მასასთან მოვედით პარტიულ პროგრამულ მოწოდებით და მას გზა კვალი აუბნიეთ... ხალხს პოლიტიკურ პარტიებისადმი ნდობა ეკარგება ხალხს მოყვასთა ნაცვლად მტრები ეჩვენება... ამ უდიდეს ეროვნულ განსაცდელის ჟამს საყოველთაოდ შეჩერებულ უნდა იქმნას პარტიულ ჯგუფური მუშაობა ხალხში. საქართველო სიკვდილის წინაშე სდგას, სრულიად საქართველოს ერი ერთ დროშის ქვეშ შეკრებილი უნდა შეეგებოს საბედისწერო მომენტს. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ფიცხელი ყურადღება უნდა მიაქციოს სოფლის ხალხის გახრწნას უცნობ პირთა დემაგოგიურ თარეშს და აღკვეთოს ისინი. თორემ, ის რაც ამ ხანად სოფლებში ხდება თუ განვითარდა, გაღრმავდა, ხალხი თავისივე ხელით დანთებულ ცეცხლში დაიწვება.

ნუ დავღუპავთ საქართველოს!.. ერთსულოვნობისკენ, თავდაცვითი ომისკენ!.. საქართველოს ეროვნულ სხეულის სიყვარულისკენ... ბათომი ბედის საზღვარია საქართველოსი და ღმერთმა ნუ ინებოს, რომ ქართველ ხალხს იგი ასე უცებ დეს მაგოგიურ სისინით გულიდან, ამოეშალოს...

**ი. დ-ძე.**

## პრესის მაგიერ.

ქუთაისში ოთხი სხვადასხვა ჯურისა და მიმართულების გაზეთი გამოდის. კითხულობთ ამ გაზეთებს და აღარ იცით რა იფიქროთ, რა გზას დაადგეთ, ვის მიემხროთ, ვი დაუჯეროთ? ერთსა და იმავე ფაქტს, ერთსა და იმავე მოვლენას, რომელიც როგორც თვალხილულისა, ისე ბრმისთვისაც ერთგვარათ არის საგულისხმო, სავალალო, თუ სასიხარულო, როგორც მოვლენა საერთო, საერო, სახალხო და არაპარტიული ყველა მიმართულების გაზეთი თავისებურათ სჯიჯგნის და სცდილობს თავისი პარტიული სული შთაბეროს, თავის მკითხველებს თავისებურად გაალანდოს, თავის ვაშკაცობასა, ან თავის გამჭრიახობის შედეგად დასახოს!....

ყველაზე ხმამაღალი გაზეთი დღეს სოციალ-დემოკრატების გაზეთია და ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც ეს პარტია არის დღევანდელი მთავრობა, ცხოვრების სადავეები ხელში უპყრავს, და როგორც მბრძანებელი, რასაკვირველია, დიდგულობაც უხდება.

ამ გაზეთისათვის ყველა ის, ვინც მისებურად არა ჰფიქრობს და მოაზროვნებს, —მხდალია, ლაჩარია, მოღალატეა, ხალხის მტერია! მადლი უფალს რომ ქართველობას კიდევ შერჩენია გონება, თო-

რემ აქამდე ყველა საღ მოაზროვნესა და საღად მოლაპარაკეს სული ამოულეტავდენ და მარტო ფაფხურანი მყვირალნი დარჩებოდენ...

იმის მაგივრად რომ სოციალ დემოკრატებმა ახლა მაინც დაუხმონ გულს და როგორც ქართველი ერის მთავრობა ყველა შეგნებული და დაკვირვებული ქართველით ისარგებლონ, კვლავ გათიშვისა და განცალკევების პოლიტიკას აწარმოებენ!...

ასეთი პოლიტიკის ბრალია რომ დღეს ქართველობა გზა აბნეულია და ასეთი პოლიტიკავე ღალუპავს საქართველოს...

ჩვენ ამაში ღრმათა გართ დარწმუნებული და სიმართლის თქმისთვის ბოდიშს აღარ ვითხოვთ...

მეორე ავყია და მოუსვენარი გაზეთი არის გაზეთი ქუთათურ სოციალ-ფედერალისტებისა, რომელსაც დიდი არევ დარევა შეაქვს უიმისოდაც არეულ ჩვენს ცხოვრებაში... ბრძოლა და ოპოზიციონერობა კარგი საქმეა, როცა ეს ხდება საერთო, სახალხო და საერო ინტერესებისათვის და არა პარტიული ჟინიანობით...

ბევრს არას მოგახსენებთ სოციალ-რევოლუციონერების გაზეთზე. ეს გაზეთი და მთელი მიმართულება ჩვენ „გაუგებრობა და“ მიგვაჩნია როგორც მატარებელი წმინდა რუსული ხალხოსნური იდეათებისა. მას არავითარი ნიადაგი არა აქვს ჩვენში და მხოლოდ „ოთოთაინთ ქორის“ როლს თამაშობს, როცა ყოვლად მოუფიქრებლად ლანძღავს ქართველ მოღვაწეებს... რუსეთმა გვიღალატა, გაგვყიდა, გაგვეცალა უბედურების დღეს და კარგს ინებებს ეს გაზეთი, რომ თავისი მოღვაწეობაც რუსეთში გადაიტანოს... ყველაზე ყბად აღებული გაზეთი ზემოდ დასახელებულ სამი მიმართულებისაგან არის ეროვნულ-დემოკრატების გაზეთი... შეუმცდარი ქვეყანაზე არავინ არის და თუ ეს გაზეთი სცდება რამეში ეს ის არის, რომ თავის დროზე ვერ აიმაღლა ხმა და დღესაც ძლიერ მორიდებით იქცევა... საჭირო კი არის რომ ამ გაზეთმა იკისროს დიდი როლი ერთობის ჩამოსაგდებად მთელს საქართველოში:— ჯერ ყველა პარტიას ააშენებინოს ის ოჯახი, რომელსაც ჰქვიან თავისუფალი საქართველო და მერე ჰკითხოს ქართველ ხალხს ვინ არის მისი მტერი და მისი მოყვარე.

მაგრამ ნეტა როდის დადგება ეს ბედნიერი დღე!

ისევ ის.

## გერონტი ქიქოძის სიტყვა.

წარმოთქმული საქართველოს ეროვნულ საბჭოში.

(გაგრძელება.)

მაშასადამე მას ჩვენთვის არ შეუძლია არც ფაბრიკატების, არც პურის მოწოდება. რუსეთს დაეხშო ყველა საზღვაო გზები: ბალტიის ზღვის სანაპიროები გერმანიამ წაიღო, ოდესსა და ნიკოლაევი უკრაინას, არხანგელსკსა და მურმანს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა არ აქვს და თან არ ვსცდები ამ ნავთსადგურებსაც ინგლისელები სდარაჯობენ, ვლადივოსტოკს იაპონელები იჭერენ. ამის შემდეგ გასაკვირალი არ არის, რომ ყოველი რუსი უკიდურესი სოციალისტიდან დაწყებული უკიდურეს რეაქციონერებამდე ასე ებღაუჭება საქართველოს. რუსეთს აღარ შეეძლება უსაქართველოდ არსებობა და განვითარება. ყოველი გზა, რომელიც მონავალ პეტროგრადსა ან მოსკოვს გარეშე ქვეყანასთან შეაერთებს, უსათუოდ ჩვენს ქვეყანას, სამშობლოს გადასჭრის. ჩვენ მიწა-წყალზე მოხდება იმ იმპერიალისტური ენერგიის დაგროვება, რომელიც აქამდე პოლონეთსა, ფინლიანდიასა, ოსტზეის მხარესა და უკრაინაში იყო გაშენებული და ას ოცი მილიონი ხალხის შემოსევა ისევე ადვილად წალეკს პატარა საქართველოს, როგორც წინად ჩერქეზეთი და აფხაზეთი წალეკა. პირიქით ოსმალეთისათვის საქართველო ასე საჭირო არ არის: ოსმალეთს ბევრი საზღვაო გზა აქვს, კონსტანტინეპოლი, სმირნა, ტრაპიზონი, ბეირუთი, არც ერთი ეს გზა პირდაპირი არ სჭრის საქართველოს. ამას გარდა ოსმალეთის მთავრობას კარგად უნდა ესმოდეს, რომ მისთვის ასე ადვილი არ არის ქრისტიანული ქვეყნის ანექსია. ამიტომ, ჩემის აზრით, ოტტომანური იმპერია საუკეთესო შემთხვევაში ჩვენს დამოუკიდებლობას სცნობდა, უარესში ფართო პოლიტიკურ ავტონომიას. მაგრამ რუსეთი ჩვენთვის საშიშია არა მარტო ეკონომიურად და რასიულად, არამედ პოლიტიკურადაც. ლაპარაკობენ რუსის დემოკრატიაზე, მაგრამ ნამდვილად რუსეთში დღეს ხულიგანური ანარქიაა გაბატონებული და არა დემოკრატია. დემოკრატიულ წესწყობილებას ახასიათებს წარმომადგენლობით დაწესებულებები, კონსტიტუციური გარანტიები, მოწესრიგებული კანონმდებლობა რუსეთში არ არის, არც პარლამენტი, არც სიტყვისა და პრესის თავისუფლება, არც პიროვნების ხელშეუხებლობა. მართალია, არც ოსმალეთია დემოკრატიული სახელმწიფო, მაგრამ ახალგაზრდა ოსმალთა რევოლუციის შემდეგ ის არც აღმოსავლეთურ დესპოტიაა. იქ არის პარლამენტი ლიბერალური კონსტიტუცია, რომელიც ბევრით არ ჩამორჩება გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის კონსტიტუციას. ყოველს შემთხვევაში უეჭველია, რომ თუ თვით საქართველოს დემოკრატია მტკიცე იქნება, მისთვის სრულიადაც საშიში არ იქნება, ცენტრალური სახელმწიფოების დაახლოვება მე მგონია, რომ ჩვენ დიდი დანაშაული ჩავიდინეთ, რომ ასე დავაგვიანეთ ეროვნული მთავრობის შედგენა და ეროვნული პოლიტიკის წარმოება: ამან დაგვაკარგვინა ბათომი, ოლთისი და არტაანი. მაგრამ ცოტათი მაინც შეიძლება საქმის გამოსწორება. თუ საქართველოს ეროვნული საბჭოს რეორგანიზაცია მოხდა მან იქნებ კიდევ შესძლოს საპატიო ზავის შეკვრა ოსმალეთთან. ხოლო თუ, დაკარგული ტერიტორიის დაბრუნება არ მოხერხდა, მისი ანაზღაურება მაინც სხვა მხრივაც შეიძლებოდა. მტერი შემოგვესია ჩრდილოეთიდან, სოხუმი დაიჭირა და ზუგდიდსა და ახალ სენაკს ემუქრება. თუ ჩვენ პრეტენზიებს ვაცხადებთ შავი ზღვის ნაპირზე ბათომის სამხრეთით, შეგვიძლია ასეთივე პრეტენზიები გავაცხადოთ ფოთის და სოხუმის ჩრდილოეთითაც. ეს ტერიტორიაც ჩვენს ისტორიულს საზღვრებში შედის, დღეს ჩვენი ახალშენების ტალღა იქით მიისწრაფის.

## მთავრობის კრიზისი

შაბათს, აპრილის 7-ს მაჰმადიანმა მინისტრებმა მთავრობას განუცხადა, რომ ისინი მთავრობის შემადგენლობიდან გადიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის შემდეგ სწრაფად მოხდა მთავრობის შეერთებული კრება, რომელმაც იმსჯელა შექმნილ მდგომარეობაზე; დიდი კამათი გამოიწვია ომისა და ზავის საკითხმა. ზავის შეკვრის მომხრეალმოჩნდა მთავრობის 7 წევრი, 2 წინააღმდეგი იყო, 3-მა თავი შეიკავა.

ამის შემდეგ გეგეჭკორმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა უნდა გადადგეს.

ამბობენ ახალი მთავრობის შედგენა ა. ი. ჩხენკელს დაევალაო. „საქ“.

## მოქალაქენო

მოეხმარეთ დაჭრილ ძმებს—გაიღეთ თქვენი წვლილი!

# ახალი ამბავი.

### ქ უ თ ა ი ს ი.

გუშინ ქუთაისში, თბილისიდან მივიღეთ ფრიად სასიხარულო და აღმაფრთოვანებელი შინაარსის დეპეშები. ეს დეპეშები გაზეთისათვის გამზადებული გვქონდა, მაგრამ ჩვენს რედაქციაში მოვიდა მთავრობის წარმომადგენელი და გამოგვიცხადა, რომ ეს ცნობები ჯერ არ გამოგვექვეყნებია. ამის გამო გადაიდო აგრეთვე მოწინავე წერილიც.

✦ **მუშათა საბჭოში.** საღამოს 6 საათზე მოხდება მუშათა საბჭოს არა ჩვეულებრივი კრება

✦ **ოზურგეთის დაბრუნება.** კერძო ცნობების მიხედვით ჩვენს ჯარს ქ. ოზურგეთი უკანვე დაუბრუნებია.

✦ **ინტერპარტიული კრება.** 9 აპრილს ქუთაისის სათავადო მამულო ბანკის დარბაზში ბ. ნ. თავდგირიძემ მიიწვია სხვა და სხვა დაწესებულებების წარმომადგენელთა კრება დღევანდელი მომენტის შესახებ საკამათოთ და რეზოლუციების

## ჩვენი ყოფნა *).

წერილი მეექვსე და უკანასკნელი.

დრო და გარემოება რო ხელს გვიწყობდეს, ხუთი და ექვსი პატარა, საგაზეთო წერილი კი არა, რამდენიმე დიდი ტანისა და ზომის წიგნი დაიწერებოდა ჩვენი სადღეისო ყოფნის შესახებ, რომელი ყოფნაც არ ყოფნას უდრის და როგორ ყოფნასაც ისევ სიკვდილი სჯობია, თუ ჩვენი ერი,—ქართველი ერი,—ახლა მაინც არ გასწორდება წელში და არ იცნობს თავის თავს, თავის მეობას.

მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ სწორედ ეს **მეობა** ერისა იმდენად დაჟეჟილ-დამსხვრეულია. ჩვენში, იმდენად შერყვნილ—ამოშლილია ხალხის გულიდან, რომ დღევანდელი ქართველი კაცი, თუ ქალი მოლაპარაკე ორჩოფეხას უფრო ჰგავს, ვიდრე შეგნებულსა და შესმენილ მამულიშვილსა და მოქალაქეს...

ამის უმთავრესი მიზეზი ორი რამ არის: 1) ასი წლის მონობა რუსების ხელში და 2) შეუფერებელ მოძღვრებათა გავრცელება ჩვენში.

პირველი ამახინჯებდა ჩვენს ხალხს მარჯვნიდან, მეორე—მარცხნიდან.

ერთნი—რუსის პოლიტიკოსები—შეგნებულად, **ბოროტის განძრახვით** შლიდენ და ანადგურებდენ ქართველობის მეობას: რუსის ეკლესია, სკოლა და ყაზარმა ჯოჯოხეთურის თანდათანობით, ტარტაროზულის ფარისევლობითა და მეფისტოფელურის ხითხითით ანიავებდენ ქართველი კაცის ზნე-ჩვეულებას, აკნინებდენ მის სულსა და გულს, შხამსა და სამსალას ასმევდენ ქართველთა ახალთაობას, რომ მისი მოდუნებული არსება გადაქცეულიყო საზიზღარ, საპყარ მონად,—და, ამგვარად, ნიადაგს იმზადებდენ საშვილიშვილო ბატონობისათვის. მეორენი კი—ეგრედ წოდებული ჩვენებური სოციალისტები—ფრიად კეთილის განზრახვით, ზეალმტაცი თავდადებით, განსაცვიფრებელის მედგრობითა და დაუზარებლობით—სდილობდენ ხალხის გამოფხიზლებას, მის მონობიდან განთავისუფლებას, მის გაადამიანებას, მაგრამ ბევრის მდომებმა ცოტაც დაჰკარგეს და დღეს ხელში შერჩათ ჩვენებური „გაბოლშევიკებული ჯარისკაცი“ ან ისეთი გამხეცებული „სოფლელი სოციალისტი“, რომელიც სიამოვნებით ჰკლავს, თავის დიდ-მოამაგე მასწავლებლებსაც კი! (გაიხსენეთ ცხინვალის ამბები; გ. მაჩაბელი, სანდრო კეცხოველი)...

ჩვენებური სოციალ-დემოკრატობა, სოციალ-რევოლუციონერობა და, თუ გნებავთ ფედერალისტობაც საქართველოში —ისეთი რამ გამოდგა, რომელთაც ხალხმა ჰანგი ვერ აუღო და დედა-აზრი ვერ აართვა!

მე არ შევუდგები ამ მოძღვრებათა კრიტიკას. ეს წყლის ნაყვა იქნებოდა, ვინაიდგან, აბა, როგორ დაუმტკიცებთ შეყვარებულ კაცს, რომ მისი სატრფო მახინჯია, ან როგორ დაუმტკიცებთ მორწმუნეს, რომ სამოთხე არ არსებობს?

ამ მოძღვრებათა კრიტიკა და შეფასება მივანდოთ თვით ცხოვრებას, თვით დღევანდელ დღეს, თვით ქართველ ხალხს, როცა იგი თვით გახდება თავისთავის უფალი...

ვიტყვით მხოლოდ, რომ თუ რუსის ეკლესიამა, სკოლამა და ყაზარმამ გადაგვარების გზაზე დააყენა ჩვენი ხალხი, ქადაგებამ „კლასთა ბრძოლის შესახებ“, იქ სადაც ეს კლასები **არ არის** იმ სახით და იმ ზომით, როგორსაც მოითხოვს სოციალიზმის განხორციელება საზოგადოება, ქადაგებამ „წართმევა—მირთმევაზე“, სადაც „წასართმევ-მისართმევი“ იმდენი არა გვაქვს რა,- როგორც **დამონებულ ერს**, შეჰქმნა ისეთი უსამართლო **ტიპი**, ისეთი ნაკვთი ჩვენებური „სოციალისტისა“, თუ არასოციალისტისა, რომელსაც აღარ იცი რა უთხრა და რა შეასმინო!.. *) მაგალითებისათვის შორს არ წავალ:

აიღეთ ორი ქართველი სხვადასხვა პარტიისა და დააკვირდით მათ ურთიერთობას—მზად არიან ერთმანეთი დასჭამონ!..

მიდით ვაჭართან—მზად არის გაგფცქვნას!

მოურიგდით ხელოსანს—თავის დღეში სიტყვას არ აასრულებს, მზად არის ჯვარს გაცვას!

დაიქირავეთ მუშა—თავ-ბედს გაწყევლინებთ... მზად არის ყინულზე გაგაცუროს, როგორც „ბურჯუაძე“!..

გამოელაპარაკეთ ნასწავლსა თუ უსწავლელს, ქალსა, თუ კაცს... ყველგან უნდობლობა, უიმედობა, თვალთ-მაქცობა, სურვილი, როგორმე და რანაირადმე ასარგებლოს შენით!

დიაღ, განცვიფრებული და თავზარ დაცემული ხარ ჩვენი სოფელ-ქალაქის მომზარალი, მაგრამ თუ შენი თავის მოტყუება არ გინდა, უნდა გამოტყდე, რომ....

ჩვენი ხალხის ასეთს ყოფნას დიდად ხელი შეუწყო უცხო აზრებისა და უცხოთა მოძღვრების ჩვენში ყურით გადმოტრევამაც შეუმოწმებლად, შეუსწავლელად, ჩვენი ხალხის ცხოვრებასთან შეუფარდებლად „მოდათა“ და მიზეზად გადაქცევამ!....

უბრალო, პედაგოგიური საანბანო ჭეშმარიტება ითხოვს, რომ სწავლება დაიწყო ჯერ ნაცნობი საგნებიდან და მერე თანდათანობით გადახვიდე უცნობ საგნებზე... ჩვენი ხალხის უკანასკნელი დროის „ჭკუის მასწავლებლებმა“—კი დაივიწყეს ეს საანბანო ჭეშმარიტება და იმის მაგივრად რომ გაეხსენებინათ მეოცე საუკუნის ქართველებისათვის ვინაობა და რაობა საქართველოსი, შეესწავლათ საქართველოს წარსული და აწმყო, გაეთვალისწინებიათ ეკონომიურ-უფლებრივი მდგომარეობა ჩვენის ქვეყნისა, გაეგოთ გულის თქმა ჩვენის გლეხობისა, შეეტყოთ: ვინ მტერია და ვინ მოყვარე ქართველის ერისა, აღეზარდათ და გაემტკიცებინათ მამულიშვილური და მოქალაქეობრივი გრძნობა ქართველი გლეხის გულში, **მოთხოვნილებასთან** ერთად ქართველი მშრომელისათვის ესწავლებინათ **მოვალეობის** აღსრულებაც და სხვა და სხვა, ერთის სიტყვით, ამის მაგივრად რომ **ქართველი ქართველადვე გაეხადნათ** -(ვინაიდგან თავის თავის შეუსწავლელად გარემოს შესწავლა და შეყვარება შეუძლებელია) ჩვენმა დღევანდელმა ბატონებმა და პატრონებმა ქართველი მშრომელის გაბედნიერება **მთელი მსოფლიოს** გაბედნიერებით დაიწყეს და, გვგონია, კოვზიც ნაცარში იმიტომ ჩაუვარდათ, რომ სხვენიდან სახლს მხოლოდ მეოცნე-

*) ამ წერილის დასტამბვა ჩვენდა უნებურად დაგვიანდა. რედ.

*) გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ „კლასთა ბრძოლის ქადაგება“ ჩვენში დღესაც არ ისპობა. თუ ეს ქადაგება საჭიროებოდა რევოლუციის „გასაღრმავებლად“ დღეს, როცა რუსეთის დემოკრატია ოხლოკრატიად (ბრბოდ) გადაიქცა და თვით რევოლუცია კი ისე „გაღრმავდა, რომ ლამის თავისი თავიც გადაყლაპოს, დიდ უსამართლობად მიმაჩნია საქართველოში ერთი „კლასის“ მეორეზე მისევა, ვინაიდგან ეს თავიქამიანობას ნიშნავს. აბა მითხარით რომელი ჩვენი მოღვაწე არ არის ან „თავადი“, ან „აზნაური“ ან „მღვდლისა და მოქალაქის შვილი“. ხომ არ გინდათ, რომ ბრბომ თქვენც ამოგვწყვიტოთ. სხვა „კლასები“ კი ჩვენ არა გვყოლია. მაგრამ ამაზე ცალკე წერილით მოველაპარაკები ჩემს მკითხველებს.

ვ. ე.

გამოსატანად, მაგრამ რადგანაც ყველა დაწესებულებებიდან არ იყვნენ წარმომადგენლები, კრება შემდეგისათვის გადაიდო.

◆ **აფხაზეთის თხოვნა.** აფხაზეთის გლეხთა საბჭომ საქართველოს ეროვნულ საბჭოს განსაკუთრებული დელეგატის საშუალებით სთხოვა, რომ გაუწიოს აფხაზეთს მფარველობა ბრბოთა შესევისაგან. როგორც გადმოგვცეს აფხაზეთი საქართველოს ორიენტაციას დაიცავს, თუკი თავის დროზე მივეშველებით.

◆ **ქალაქის საბჭო.** 8 აპრილს მოხდა ქალაქის საბჭოს არა ჩვეულებრივი კრება. ერთმა ხმოსანმა ითხოვა, რომ ემსჯელათ ზავის შესახებ, მაგრამ ს. დემ. ფრაქციამ ეს კატეგორიულად უარყო.

◆ **გურულთა კრება.** კვირას, 8 აპრილს ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით მოხდა ქუთაისში მყოფ გურულთა კრება. კრებამ გამოიტანა შემდეგი დადგენილებანი: 1) შეადგინონ მფრინავი რაზმი რომელიც ყოველგვარ დახმარებას გაუწევს ომის გამო გადმოხვეწილ გურულებს, 2) შეადგინონ კომიტეტი 15 კაცისაგან რომელნიც შეკრებს საჭირო ფულს დახმარების აღმოსაჩენათ. ამ დღესვე იქვე იქმნა ხელის მოწერით შეგროვილი 6,720 მანეთი.

◆ **ჯარში გაწვევის შესახებ.** სამხედრო მინისტრის განკარგულების თანახმად 1 მაისამდის არ იქმნებიან გაწვეულნი ჯარში ის ახალგაზდები, რომელნიც კავკასიის არმიის საჭიროებისათვის გზებზე მუშაობენ.

◆ **ფართლეულობის თავისუფალი ვაჭრობა.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა ვაჭრებს ნება დართო განაახლონ ფართლეულობაზე თავისუფალი ვაჭრობა. თვითეულ ვაჭარს უფლება ეძლევა შემოზიდოს ფართლეულობა საიდანაც არ უნდა იყვეს იგი. ქუთაისის გუბერნიიდან ფართლეულობის გაზიდვა კი მოხდება საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის ნებართვით.

◆ **ფულის შეგროვება ქართველი მხედრობის ხამკითხველოსათვის.** ქუთაისში ჩამოვიდა ჯ. კაც. მელიტონ არჯევანიძე, რომელსაც საქართველოს ეროვნული საბჭოსაგან მინდობილი აქვს შეაგროვოს ქუთაისში შემოწირულება ქართველ მხედრობის სამკითხველოს ფონდისათვის.

◆ **დაპატიმრება.** 9 აპრილს, კათოლიკების ქუჩაზე დააპატიმრეს ა. ზონენაშვილი, დ. მარდეხაშვილი და ი. ზონენაშვილი რომელთაც აღმოაჩნდათ რამდენიმე ათეული წყვილი თეთრეულებიდა საპონი.

◆ **ქართული გიმნაზია** წელს დაასრულა სულ 68 მოწაფემ.

◆ **განკარგულება.** ქუთაისის გუბერნიის კომისარმა განკარგულება გამოსცა, რომლის თანახმად სასტიკად დაისჯებიან ის არა პასუხის მგებელნი პირები, რომელნიც მთავრობის ნება დაურთველად ჯარში გასაწვევ ახალგაზდებს ძებნას დაუწყებენ და დაიჭერენ. მათ მოსაძებნათ ზომებს თვით მთავრობა მიიღებს.

◆ **თავდასხმა.** 9 აპრილს ღამის 11 საათზე ზედა საფიჩხიაზე ყოფილი ჯარის კაცი მორჩაძე თავს დაესხა ირ. უგრეხელიძეს იმ განზრახვით რომ ისიც და მისი შვილიც მოეკლა. მორჩაძე ძმა არის პრაპ. უგრეხელიძის მკვლელისა, რომელიც დაპატიმრებულ იქმნა და შემდეგ მოკლული. მორჩაძეს დაედევნა მილიციელები მაგრამ ვერ დაიჭირეს.

◆ **სროლა.** ამ უკანასკნელ დღეებში ქუთაისში ღამღამობით სროლა გახშირდა. ტყვიებს სულელურათ სწვავენ, როდესაც თვითეული ტყვია ჩვენი ჯარისთვის ძვირფასია.

# რუსეთის ამბები.

**რუსეთის მადნები.**

ციმბირიდან იუწყებიან, რომ იაპონელები ყიდულობენ რუსეთის ოქროს მადნეულობასაო.

**8 მილიარდი დეფიციტი.**

რკინის გზაზე 1918 წ. წმინდა შემოსავალი ნავარაუდევია 1 ნახევარი მილიარდი, ხოლო გასავალი 9 ნახევარი მილიარდი. მაშასადამე, დეფიციტი 8 მილიარდს უდრის.

# ტკბილი სიტყვა?

ალარ მინდა ტკბილი სიტყვა,
არც როდენის ქანდაკება,
არც „ოლოლის“ და „ლაურას“
თავგასული ქებათ-ქება!
ალმაფრენის საიდუმლოს
ჩამძახიან მუდამ ყურში, —
ნეტავ ერთი ისიც მითხრან,
თუ რა ჰხდება ბნელ მიწურში!..
განვლო იმ დრომ, ერთხელ მეც რომ
უმიზეზოთ ვიყავ მთვრალი:
ჩვენს ცხოვრებას რომ დავხედე,
მწარ სიცხადეს მოვკარ თვალი!..
სინამდვილემ ლახვარი მკრა,
გული დამწვა, დამიფერფლა
და ოცნებაც ყმაწვილობის
მხოლოდ იმან, მან იმსხვერპლა!...
ბედშაოპამ შეიწირა
ჩვენი საძვლე და სამარე,
მზეც კი ჩვენთვის მოიჩრდილა,
სხვისთვის სხივ-მფენ-მოელვარე!..
დაირღვა და დაიშალა
საწალმართო ალმაფრენა:
პირს ქაფ-დორბლით, შუბლზე ოფლით
ერთმანეთის მხოლოდ ღრენა!..
თავ-თმა-ჯილა, მოფრანტალე
მოფუცფუცე, ფართი-ფურთა,
ლელოს გატან-გამოტანით
ქართვლის კერა გააბურთა!..
გეურქ-ალას გულს რომ უთფობს,
მოხელკავე მასთან სკვითებს
და შეწყობით სანადიმოთ
ავარჯიშებს ჩვენზე თითებს...
ეჰ, რამდენსა რას განვიცდით
საუბედურ-სავალალოს!..
ისეთს რამე ჩაგვძახებდენ,
რომ ქართლის ჭირს უმკურნალოს, —
ეს იქნება ტკბილი სიტყვა,
საზეიმო ალმამფრენი
და მაშინ კი შეიწირონ
საზვარაკოთ ჩემიც დღენი!..

**დ. თომაშვილი**

**მომავალი ვაჭრობა-მრეწველობა.**

მოსკოვში საგანგებო საზოგადოება დაარსდა, რომელსაც მიზნად აქვს ამერიკულ კაპიტალისტებს მოუწოდონ რუსეთის ბუნებრივ სიმდიდრის დასამუშავებლად. ამ საზოგადოებას სათავეში უდგანან რუსეთის ეროპათა კავშირების გამოჩენილი მოღვაწენი. საზოგადოებამ უკვე საგანგებო წარმომადგენელი გაგზავნა ამერიკაში.

**გენ. ბრუსილოვი.**

გენ. ბრუსილოვს ჟურნალისტებთან საუბრის დროს, განუცხადებია: თუ გსურს ომი, ისიც [illegible], ამისთვის საჭიროა უმთავრესად სამი რამ: ა) საკმაო დრო, ბ) აუწერელი ტეხნიკური საშუალებათა გამონავხა და გ) აფიცერთა განთავისუფლება ყოველგვარ პოლიტიკისაგან, რომ დისციპლინის აღდგენაში არაფერი ეკითხებოდეთ კომისრებს, კომიტეტებს და მათ მზგავს რაიმე კავშირებსაო.

**„კერენსკი“**

პეტროგრადის კომმუნის კომისართა საბჭომ შემდეგი დადგენილება გამოსცა: „პეტროგრადის კომმუნის კომისართა საბჭოში ცნობები მოდის, რომ ვაჭრები უარს აცხადებენ 40 და 20 მანათიანების (ეგრედ წოდებული „კერენსკი“-ს) მიღებაზე. კომისართა საბჭომ დაადგინა შეიპყრან და სახალხო მსაჯულებს გადასცენ ყველა ისინი ვინც უარს განაცხადებს ხსენებულ ფულის მიღებაზე.

# ჩვენი ფრონტი.

**ოფიციალური ცნობა.**

8 აპრილი 20 საათი.

დილის 6 საათზე თათრების ჯარი ქალაქ ოზურგეთიდან 8 ვერსით იყო დაშორებული. 10 საათზე ისინი ქალაქში შევიდენ. ჩვენებმა უკან დაიხიეს.

რკინის გზის მიმართულებით ჩვენი ჯარი წინ მიიწევს. მებრძოლი გორელები მამაცობას იჩენენ. ხელთ ჩაგვივარდა მრავალი ტყვე. მათ ჯიბეებში შემწვარი სიმინდის მარცვლები აღმოაჩდათ. ისინი შიმშილობის გამო ძალზე დასუსტებულნი არიან.

ხელთ ვიგდეთ აგრეთვე 4 ტყვიის მფრქველი და მრავალი იარაღი. დილით ჩვენ პოზიციასთან მივიდენ ბათომიდან გამოქცეულნი ჩვენი 7 ოფიცერი. მათი გადმოცემით ბათუმში მშვიდობიანობა ყოფილა.

---

ბენი თუ აშენებენ ხოლმე, ისიც თავის თავსა და გულში!.....

მე ვამბობ — კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ მეთქი და ვამბობ ამიტომ რომ, გადაივლის თუ არა რუსეთის რევოლუცია — თუ ამ რევოლუციამ არ იმსხვერპლა ქართველი ერის არსებობა — საქართველო სულ სხვა გზით დაადგება თავის ცხოვრების მოწყობას და დღევანდელ „ამიერ-კავკასიის სეიმის“ დეკრეტ-ბრძანებათაგან მხოლოდ მწარე მოგონებანი ღა დარჩებიან....

რათა?

იმიტომ რომ ალღო ერთი ერის სიცოცხლისა, სრულიადაც არ მიდის მეორე ერის მეოცნებეთა, თუ მეამბოხეთაგან ნაჩვენების გზით... თითოეულ ერს აქვს თავისი **ისტორიული** გზა და ვიდრე ერს სასიცოცხლო ძალა შესწევს, ამ გზას ვერ ასცდება... კუჭი ხომ კუჭია, მაგრამ ყველა კუჭიც კი ვერ მოინელებს ერთსა და ამავე საჭმელს. ერს კი კუჭის გარდა აქვს თავისი **თავი და გრძნობა,** და ვიდრე ერს **თავი და გრძნობა არ დაეკარგება,** ე. ი. ვიდრე ერი ფიზიკურად არ მოკვდება, მანამდე იგი შეინახავს თავისებურობას, თავის სპეციფიურობას....

ამ გზით მიდიოდა კაცობრიობა ქვეყნის შექმნიდან დღევანდლამდე და ამავე გზით ივლის შემდეგშიაც.

მე ვახსენე **კაცობრიობა**, მაგრამ **იმედია**, მკითხველი მიმიხვდება, რომ მე აქ ვგულისხმობ კრებულს ერებისას და მათ ისტორიებს, თორემ კაცობრიობა, როგორც ერთეული, როგორც საერთო რამ, როგორც რეალური არსი! **მხოლოდ** ფიქციაა, ანუ უკეთ რომა ვსთქვათ, მხოლოდ შორეული მოჩვენებაა და სინამდვილე კი მარტო ცალ-ცალკე ეროვნებებია, — თვითოეული ერის შვილი პირველ ყოვლისა მოვალეა ჩაუკვირდეს თავის ერის **ჭირ**ნახულობას, საციცოცხლო ძალებს, შეჰკრას, შეჰკონოს იგი ეროვნული სულისა და გულის ტამრებით (ნერვებით), ეს მეობა თავისი ერისა შეუფარდის სხვა ერის მეობას, — კარგსა და უკეთესს დაუმეგობრდეს, ავსა და უარესს ჩამოშორდეს და ამგვარად შეჰქმნას ისეთი ურთიერთობა, რომელიც სიკეთესა და წარმატებას მიანიჭებს ყველას ერთად და თითოეულს ცალცალკე....

ასე იქცეოდა თითოეული დაწინაურებული ერი გაჩენიდან ქვეყნისა დღევანდლამდე და ასევე იქცეოდენ ჭირისუფალნი ამა თუ იმ ეროვნებისა დაწყებული თუნდა მოსე წინასწარმეტყველიდან და გათავებული ბებელ-ჟორესით...

ასე არ იქცეოდენ **მხოლოდ** გამგებელნი დღევანდელი დღისა — ჩვენი სოციალ-დემოკრატები....

გავიხსენოთ ამათი გაჩენის მოკლე ისტორიაც.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში რუსეთმა შავი სუდარა ჩამოაფარა ჩვენს წარსულს... ჰოწმენი რუსეთთან ხელშეკრულობისა და მისი პირველი ჩამოთესლებისა დაიხოცენ. რუსის სკოლამ და ეკლესიამ ახალთაობა გადაგვარების გზაზე დააყენა. მოწინავე წოდება, თავად-აზნაურობა, ჩინმენდლებით მოხიბლა გამოათაყვანა და „პრიკაზების“ დაარსებით (ერთგვარი ბანკები) გააკოტრა. გაჩდენ სოლომონ მეჯლანუაშვილები, სომეხი ჩარჩ ვაჭრები და კალიასავით მოედვენ ქართლ-კახეთს. (დღესაც იქ არიან) გართულდა, გაძლიერდა ბატონ-ყმობა. გატიალდა გლეხობა.. დაჭრუვდა მთელი ერი, გაჩანგდა საქართველო, იასპრავნიკ — სტრიაპჩებით აივსო მთელი ქვეყანა...

ჩამობნელდა, ვით სამარეში!..

„ბედი ქართლისა“ პირველად იტირა ნ. ბარათაშვილმა, მას მოჰყვა დ. ჰონქაძე, ამას კიდევ ლ. არდაზიანი...
გ. ერისთავი...

სამოციან წლებიდან იწყება გამოფხიზლება ქართველი ინტელიგენციისა. ილიას ამონაკვნესი „ჩვენ ჩვენ თავს უნდა ვეკუთვნოდეთო!“ ხდება მცნებად მაშინდელის თაობისა, იწყება ძებნა გზებისა და საშუალებათა. სამწუხაროდ, ეს ძიება ხდებოდა მხოლოდ კაბინეტებში... ჩვენი გლეხობა ისევ გარიყული, უანბანო და უმეცარი დარჩა.

ამავე დროს სოფლად მუშაობდენ ბნელი ძალები სთესდენ შურსა და მტრობას მეზობლებში... რყვნიდენ და ათახსირებდენ ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებას, სტუმრად მოსულნი და ბოგანონი (ოსები, სომხები) ჩალისფასად იგდებდენ ხელში საქართველოს მიწა წყალს, რუსის ჩინოვნიკები (ქართველ-რუსებ-სომხები) სწოვდენ სისხლს ქართველ გლეხს, მღვდლები და „სოფლის მასწავლებლები.“ უნერგავდენ ერთგულებას მთავრობისადმი. ქართველი მშრომელი ხალხი ბეჩავდებოდა, ჩიავდებოდა, ჰკარგავდა თვით შეგნებას, ქართველობას...

მართალია, სამოცდა-ათიან წლებში გაჩდენ ეგრეთ წოდებული „ტეტიათა მოტრფიალენი“, მაგრამ მათი სიტყვა და აზრი რჩებოდა იმ წიგნჟურნალებში რომელთა წაკითხვაც არ იცოდა ქართველი ხალხის უმრავლესობამ — გლეხობამ. (სამწუხაროდ, არც ახლა იციან)...

ოთხმოციან წლებში — უიმისოდაც გაუბედურებულ გლეხობას თავს დაატყდა კიდევ ერთი დიდი უბედურება — შემოიღეს სალდათობა.

ყაზარმასა და ცივ რუსეთში დასნეულებულმა და გარყვნილმა შინ მობრუნებულმა ნასალდათარებმა უარესად შერყვნეს სოფლის ზნე-ჩვეულება, ენა და სიტყვა, პასუხი... ჩვენი გლეხი გაოგნდა, დაჰკარგა იმედი თავის თავისა და სხვისაც, „გაპაჭარნდა“, როგორც თითონვე იტყვიან ხოლმე.... (მე ვგულისხმობ უფრო აღმოსავლეთ საქართველოს).

ამავე ოთხმოციან წელში ჩვენში გაჩნდენ ხალხოსან-რევოლუციონრები, მაგრამ რუსული ტიპისა.... (ნაროდნიკი)

ოთხმოცდა ათიანებში ახალი ხანა ჩვენს მწერლობისა იწყება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჩნდება ეგრედ წოდებული **მესამე დასი.**

რამდენადაც მე ვიცი და განმიცდია ამ დასის **მაშინდელი** სულის-კვეთება, ეს იყო წმინდა დემოკრატიული: დამხობა თვითმპყრობელობისა რუსეთში და აღდგენა საქართველოისა ხალხოსნურ **უფლება-მოსილებით...**

ეგნ. ნინოშვილის გარდაცვალების შემდეგ (1894 წ. მაისი.) დაიწყო დავა „მამებსა და შვილებს“ შორის, — შეფასება მათის ლიტერატურულ — საზოგადოებრივ მოღვაწეობისა. ამ დროს ევროპიდან დაბრუნდენ ამ დასის რამდენიმე თვალ-საჩინო წევრი მარქსიზმით გატაცებული და... დემოკრატობა გადააქციეს სოციალ დემოკრატობად.

ასტყდა საშინელი აურზაური. მარქსისტებმა დასცეს ავტორიტეტი „მამებისა და სოციალ დემოკრატების სახელით“ მოედვენ სოფლებს საქადაგებლად.....

აქიდან იწყება დყოფა მაშინდელის ახალგაზდობისა რამდენიმე ჯგუფად. პირველ ხანებში სჩანდა მხოლოდ ორი ჯგუფი — „ავტონომისტები და ცენტრალისტ სოციალ-დემოკრატები,“ მაგრამ, როაც ქართველმა ავტონომისტებმაც „სოციალ ფედერალიზმის“ ბეჭედი მიიკრეს შუბლზე, (1903 წ.) მათ ჩამოშორდა უფრო წინდახედული ჯგუფი (1905), რომელმაც შემდეგში დააარსა ეროვნულ დემოკრატიული პარტია....

თქვენ გაგეგონებათ და დღესაც ხედავთ, რა შეურიგებლობაც იყო და არის ამ ჯგუფებს შორის.

ფილა იქ ჩამოსული ენვერფაშა, რომელიც გარშემორტყმული ყოფილა გერმანელი ოფიცრებით.

**ტყვეების ბედი.**

მთავრობამ ზომები მიიღო, ბათომში დატყვევებულ ჩვენი ჯარის ბედის გამოსარკვევათ.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ქუთაისის პატივცემულ საზოგადოებას, კარგად მოეხსენება, რომ ქუთაისის რკინის გზის სადგურის მახლობლად არსებობს ერთი პატარა ხის ეკლესია. ეს ეკლესია დღემდის რუსის ჯარის კაცთა სამლოცველო სახლად იყო მიჩნეული. ამის მიზეზი ამ ეკლესიაში ქართველობა ნაკლებად დაიარებოდა, რადგანაც ხვთის მსახურება სლავიანურ ენაზე იყო დაყენებული. საქართველოდან რუსის ჯარის-კაცთა წასვლის შემდეგ, ეს ხსენებული ეკლესია, სამრევლო ეკლესიად გადაიქცა და იმერეთის სამიტროპოლიტო საბჭოს ხელში გადავიდა. რუსის ჯარისკაცებმა, წასვლის დროს, რაც ძვირფასი საჭირო ნივთები იყო ამ ეკლესიაში ყველაფერი წაიღეს.

დღეს ეს ეკლესია დიდ გაჭირვებას განიცდის განსაკუთრებით საეკლესიო წიგნების, სამღვდელო შესამოსელის და სხვა სამკაულის მხრით. შემთხვევით მე ეს გარემოება ქუთაისის რეალური სასწავლებლის „ეკონომოსის“ ოჯახობას გადავეცი. ეკლესიის საჭიროების გაცნობამ შესაფერისი ნაყოფი გამოიღო და გულ მხურვალი და მორწმუნე მანდილოსანმა, ქალ-ბატონმა ოლღა ვლადიმერის ასულმა იზიუმსკისამ ხსენებულ ეკლესიას შემოსწირა: სწიგნეზე გადასაფარებელი ძვირფასი მაუდი, ერთი პირსახოცი და სამკვეთლოზე გადასაფარებელი ტილო, ყველა ერთად ღირებული არა ნაკლები ხუთი თუმნისა.

ზეციერი მამა იყოს მფარველი ამ მოწყალე და მორწმუნე ადამიანისა და მისი ქმარ-შვილისა.—

**მღვდელი მიხეილ ბუაჩიძე.**—

— —

ბ. რედაქტორო! თქვენს გაზეთში, 28 მარტის **№61**, მოთავსებულია ი. ჯიხაიშელის წერილი: „სასურსათო საქმე.“ ვინაიდან ამ წერილის შინაარსი სიმართლეს მოკლებულია, ქალაქ ქუთაისის სასურსათო გამგეობა გთხოვთ სიმართლის აღსადგენათ მოათავსოთ შემდეგი.

ბ. ი. ჯიხაიშელი გამგეობას ბრალსა სდებს საცრების უქონლობაში „ლობიოს და ნაცრის შერევაში.“ ის ამბობს: „საკვირველია! ქალაქის სასურსათო გამგეობას, რომელსაც მთელი სასურსათო საქმეები ჩაუბარებია, სათანადო კაპიტალიც აქვს, იმდენი თაოსნობა ვერ გამოუჩენია, რომ საცრები შეეძინა“—ო. ნება მოგვეცით ასეთივე საყვედურით მივმართოთ თვით ბ. ჯიხაიშელს, რომელსაც ისეთ დიდ საკითხებზე წერა უკისრია, როგორც არის სასურსათო საკითხი და ის კი არ იცის, რომ სასურსათო გამგეობა პურს არ აცხობს. პურს „კოოპერაცია“ აცხობდა და, თუ გნებავთ გაიგოთ პურის უვარგისობის მიზეზები, შეგიძლიათ შეეკითხოთ თვით „კოოპერაციის“ გამგეობას, რომელიც, ჩვენი აზრით, სწორ ცნობებს მოგაწვდისთ, გარდა ამისა კომიტეტის სხდომების ოქმებიდან თქვენ დაინახავთ, რა ზომებს იღებდენ სასურსათო და კოოპერაციის გამგეობანი პურის გაუმჯობესებისათვის. ბოლოს, როდესაც სინამდვილეში დავვარწმუნა, რომ ყოველივე ცდა უნაყოფოა, „კოოპერაციის“ ნახევრად შეუმცირდა ფქვილის მიცემა და ჩამორთმეული ნახევარი მიეცა გამოსაცხობათ კერძო მეფურნეებს ხალხის არჩევით. ფქვილიც არ არის მაღალი ღირსების, ვინაიდან იფქვება მხოლოდ ქერი, მაგრამ ის არ არის უვარგისი, რასაც დამოწმებენ ექიმები აბ. ჩარკვიანი და ვალ. ლორთქიფანიძე. შემდეგ ბ. ჯიხაიშელი „სასურსათო მმართველობების“ არსებობის მთავარ დანიშნულებას და მიზანშეწონილობას ეხება. გამგეობა შეუძლებლათ სცნობს ამ კითხვაზე პასუხი გასცეს ბ. ჯიხაიშელს გაზეთის ფურცლებზე. გამგეობის წლიურ ანგარიშში კი ეს კითხვა მრავალ სხვა კითხვასთან ერთად ჯეროვანათ იქნება გაშუქებული და მაშინ ყველასათვის აშკარა იქნება, რა აკეთა სასურსათო მმართველობებმა, კერძოთ ქალაქ ქუთაისის სასურსათო გამგეობამ და რამდენათ მიზანშეწონილი იყო მათი მოქმედებანი. რაც შეეხება „ბოროტი ენების ცუდ ლაპარაკს სასურსათო კომიტეტების შესახებ, „რომელსაც ბ. ჯიხაიშელის აზრით, „საბუთათ ვერავინ გაიხდის,“ გამგეობა დაბეჯითებით სთხოვს ყველას, ვისაც კი რაიმეს თქმა სურს, სთქვას საჯაროთ და კომიტეტი თავის მხრით შეეცდება ყველანი დააკმაყოფილოს, უკიდურეს შემთხვევაში ის მოკლებულია საშუალებას გაფანტოს ცრუ ხმები, მხოლოდ ბოროტ მოქმედებისათვის დამნაშავენი პასუხს გებაში მისცეს. გარდა ზემოხსენებულისა კომიტეტს თურმე იმაშიდაც ბრალი ედებოდა, რომ მას თავის შემადგენლობიდან სარევიზიო კომისია აურჩევია მაშინ, როდესაც თებერვლის ერთ-ერთ სხდომაზე გადაწყდა მომხდარიყოს ინტერპარტიული რევიზია. არ ვიცით რას ფიქრობს ბ. ჯიხაიშელი, ჩვენის აზრით კი ყოველ საზოგადო დაწესებულებას უფლება აქვს თავის შემადგენლობიდან სხვადასხვა კომისიების გამოყოფისა. რაც შეეხება ინტერპარტიულ რევიზიას, გამგეობა აცხადებს, რომ დანიშნულ დროზე მოწვეულ პირთაგან მხოლოდ ერთი გამოცხადდა და ამის გამო რევიზია ჯერ არ მომხდარა. ახლო მომავალში გამგეობა განმეორებით სთხოვს ყველა პარტიებს მოახდინონ რევიზია და თავისი ავტორიტეტული აზრი ფართო საზოგადოებას აცნონ. დასასრულ გამგეობა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს მის შესახებ, რომ ასეთ არეულ ხანაში, როდესაც განსაკუთრებით საჭიროა დახმარება ყოველის მხრიდან, პრესა დამახინჯებულ ცნობებს აწვდის საზოგადოებას და ამხედრებს მას საზოგადო ორგანიზაციების წინააღმდეგ.

**ქალაქ ქუთაისის სასურსათო გამგეობა.**

6 მარტს 1918 წ. ქ. ქუთაისი.

---

ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხელდარი ფული. უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებული იქნება შეუწყვიტოს გაზეთის გზავნა.

ახლად დაბეჭდილი ქართული წიგნები:

ქუთაისი.

თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის მიერ დაბეჭდილია და გასაყიდად დამზადებული:

**ა. ჭიჭინაძე.** პირველ დაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა, მესამე გამოცემა 2 მ. 50 კაპ.

**მ. ზაალიშვილი.** მოკლე სახელმძღვანელო ბუნების-მეტყველებისა **„არაორგანიული ბუნება“**. მეორე გამოცემა. ფ. 2 მ. 60 კ.

**მისივე.** მოკლე სახელმძღვანელო ბუნებისმეტყველებისა **„ადამიანი, ანატომია და ფიზიოლოგია“**. ნაწილი მესამე. ფ. 1 მ. 50 კ.

5—3

რედაქტორ-გამომცემელი

დ. ბ. კვირკველია.

ექიმი **ვ. ა. ნიჟარაძე** დაბრუნდა ქუთაისში და განაახლა ავადმყოფების მიღება, ყოველ დღე: შუადღის 12 საათ. ნაშუადღევის 2 საათ. მისამართი: ჯერჯენობით, ოლდენბურგის ქუჩა, (რესპუბლიკის) გეგელაშვილის სახლი.

---

ჩვენ არ შევუდგებით იმის მტკიცებას, თუ ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი.. დაე ცხოვრება და სამართლიანობა იყოს ჩვენი მსაჯული...

(ვიტყვი მხოლოდ, რომ პარტიულმა ქინიანობამ ბევრჯელ გადაიყოლია ყველა ჩვენში არსებული ჯგუფი და ვინც ამ ქინიანობით არ დაბრმავებულა, დღეს, ამ რევოლუციის დროს, კარგად ხედავს, რომ სწორედ ის არ უსწავლებიათ ჩვენი ხალხისათვის, რაც ნაკლებ ზარალს მიაყენებდა მას...

იმ დიდ-აშვთან, რომელიც მიუძღვის სოციალ-დემოკრატიას ჩვენი ხალხის გამოფხიზლების საქმეში, ერთი დიდი შეცდომაც მოუვიდა, რომელსაც ალბად ისევ ცხოვრება თუ გაასწორებინებს. (მე არ ვეხები ჩვენებურ სოც. ფედერალისტებს. ჩემის ღრმა რწმენით ტყვილათთაა გაკვეხებული ეს პარტია სოციალისტურსა და არა-სოციალისტურ პარტიებს შორის:)...

ეს შეცდომა ის შეცდომაა, რომ იმ თავითვე არ დაადგა ქართულ ნიადაგს და არ მოამზადა ჩვენი ხალხი არა როგორც „მარტო პროლეტარები“, არამედ როგორც **ქართველი** მშრომელი ხალხიც... ეს ერთი!

მეორე დიდი შეცდომა ის არის, რომ **არაპროლეტარულ** ქვეყანაში—საქართველოში—დაიწყო წმინდა პროლეტარული ქადაგება, მაგრამ არა **პირდაპირ**, არამედ... ერთგვარის შეპარვით, მიხვევ-მოხვევითა და არა სათანადო გზით. აი, რას ამბობს თვით დიდად პატივცემული ნოე ჟორდანია თავიანთ მოქმედების შესახებ: „ჩვენ რომ ჩვენი საკუთარი პოლიტიკა გვეწარმოებია, ჩვენი სოციალისტური სახე აშკარად გამოგვეჩინა და მათ (ე. ი. დემოკრატიას, გლეხობას) დაენახათ—უეჭველია ჩვენკენ არ წამოვიდოდნენ და ჩვენ დროშის ქვეშ არ დადგებოდნენ, მათთვის ჩვენი წითელი დროშა ნიშნავს **არა კერძო საკუთრების მოსპობას**, არამედ კერძო საკუთრების გადიდებას და გამრავლებასო“. *)

დიაღ, ჩვენი სოციალ დემოკრატები თავის ნამდვილ სახეს არ აჩვენებდენ ქართველ გლეხებს, იგინი მხოლოდ ჩაითრევს და, როცა ამაზე ვუთითებთ და აღვნიშნავთ იმ ზარალს ზნეობრივსა, თუ ქონებრივს, რომელიც ჩვენს ხალხს, ჩვენს ერს, როგორც მთლიანს მოსდის და მოუვა, ჩვენ კონტრ-რევოლუციონერებს გვიძახიან და გვიკიჟინებენ სწორედ იმას, რაც თავის თავს უნდა უკიჟინონ.

მე არ მინდა ვიწინასწარმეტყველო, რა შედეგიც მოჰყვება ს. დემოკრატების ასეთს მოქმედებას, როცა ხალხი გამოფხიზლდება, შეიტყობს თავის ნამდვილ მდგომარეობას და დაინახავს, როგორ აცალის ხელიდან მიწა-წყალს მეორე ქვეყნის „პროლეტარი“ (ოსი, თათარი, სომეხი), მე მინდა მხოლოდ აღვნიშნო, როგორის თანდათანობით აბათილებს ცხოვრება ჩვენი—ქართველების და საქართველოს ცხოვრების სინამდვილე ჩვენი სოციალდემოკრატების ჯიუტობას ეროვნულ საკითხში.

1) პირველად ჩვენი სოციალ-დემოკრატები იყვნენ კოსმოპოლიტები—ე. ი. მთელი მსოფლიოს, მთელი დუნიის მოქალაქე—პირისუფლები.

2) შემდეგ, ისე მოხიბლა რუსეთის ბუმბერაზობამ და პლეხანოვ მარტოვლენინის მქადაგებელ მეტყველებამ, რომ რუსეთის მუშათა პარტიაში გაითქვიფენ და ინტერნაციონალისტები გახდენ.

3) როცა ინტერნაციონალისტობა უაღრესი ნაციონალისტობა გამოდგა, ერთი სახელმწიფოს პროლეტარები მეორე სახელმწიფოს პროლეტარებს დაერივნენ, ხოლო რუსეთის მუშებმა კი ერთმანეთს მუსრი გაავლეს, მთელი რუსეთი დაშალეს, დაღუპეს და რუსეთის რევოლიუციის სულის ჩამდგმელები გამოლალეს, ჩვენი სოციალ-დემოკრატები ახლა ამიერ-კავკასიის „პროლეტარებს“ დაბღაუჭებიან, მაგრამ..

4) ჩვენ ვხედავთ რომ დღეს, ქართველების გარდა, ყველას მადა გახსნია და საქართველოს მიწა-წყალს ეპოტინებიან. ქართველი ერი ბუნებრივად და სამართლიანად ეცდება თავი დაიცვას და, თუ საქმე გაუჭირდა, ჩამოშორდეს კიდეც თავის მტერ მოყვარებს.

ამ შემთხვევაში ჩვენი სოციალ-დემოკრატები—როგორც ქართველები,—იძულებული შეიქმნებიან დაუბრუნდენ მხოლოდ თავის სამშობლოის დანგრეულ კერას, მაგრამ ვაი თუ აქ აღარ დახვდეთ, აღარც ციცხვი და აღარც კოვზი!.. უკეთესი არ იქნებოდა სხვისი სოფლის აშენება თავის ოჯახის აშენებით დაეწყოთ?!

ქართველი ხალხი მზად მაინც იქნებოდა თავის დაცვისათვის.

მაგრამ, ეჰ! რა სთქვას კაცმა!

ტყუილად ხომ არ ამბობენ ქართველები: ურემი რო გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო...

მოდით ვაპატიოთ ერთმანეთს შეცოდებანი, მივაფურთხოთ ეშმაკს და შეერთებულის ძალით დღეიდან მაინც შევუდგეთ საქართველოს აღდგენის საქმეს..!

ვიკმაროთ ამდენი თავის მოტყუება და ასეთი დამცირებული ყოფნა. *)

**ია ეკალაძე.**

---

*) იხ. ნ. ჟორდანია ..-დ. და სხვ... გვ. 19.

*) ეს წერილი დიდიხნის დაწერილი მქონდა, როცა გუშინ დეპეშით შეგვატყობინეს საქართველოს დამოუკიდებლობა და მთელი კავკასიის კონფერენცია.

ავტორი.

## საჭირო ცნობები.

**სია და მისამართი უმთავრეს დაწესებულებათა ქ. ქუთაისში.**

საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი ერთობისა და სობოროს ქუჩების კუთხეში—რიჟინაშვილის სახლში.

—

ქალაქის სასურსათო კომიტეტი—ამავე სადგომში.

—

საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტი—ვორონცოვის ქუჩაზე—ოცხელის სახლში.

—

საგუბერნიო საადგილ-მამულო კომიტეტი—იქვე.

—

საგუბერნიო სამართველო—იქვე.

—

ქუთათელი მიტროპოლიტის საჭე—არქიელის გორა—საკუთარი სახლი.

—

გუბერნიის კომისარის სამმართველო—რესპუბლიკის ქუჩა — ოლდენბურგის სახლი.

—

ამიერ კავკასიის კოოპერატივთა ქუთაისის განყოფილება—თბილისის ქუჩა—ბოკერიას სახლი.

—

ქალაქის თვითმართველობა—მიხეილის ქუჩა—ქალაქის სახლი.

—

სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი—კაზაკოვის ქუჩა—ბოლქვაძის სახლი.

—

მაზრის კომისარის სამმართველო—იქვე

სტამბა „შრომა“ მუშკინის ქუჩა, გოკიელაძის სახლი, ქუთაისში.

ეროვნული ბიბლიოთეკა